



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო  
საქართველოს მთავარი პროკურორი

KA011317078784113

11 / დეკემბერი / 2013 წ.

ქ.თბილისი

ბრძანება № 66-მ

საქართველოს პროკურატურაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის დანიშვნისა და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 36-ე, 38 და 61-ე მუხლების შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. საქართველოს პროკურატურაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად დანიშნოს საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ჩილინგარაშვილი.
2. შეიქმნას საქართველოს პროკურატურაში საჯარო ინფორმაციის მიღებაზე, დამუშავებაზე, შექმნასა და დაცვაზე პასუხისმგებელი ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
  - ა) ნათია გორგოძე - საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს უფროსი;
  - ბ) უჩა გოგოხია - საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის იურიდიული სამმართველოს პროკურორი.
3. საქართველოს პროკურატურაში საჯარო ინფორმაციის მიღებაზე, დამუშავებაზე, შექმნასა და დაცვაზე პასუხისმგებელმა ჯგუფმა დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირის მოთხოვნის საფუძველზე უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის გაცნობა ან სათანადო წესით დამოწმებული ასლის გაცემა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.
4. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის აუცილებელი თანხის ანაზღაურება განხორციელდეს ინფორმაციის მომთხოვნე პირის ხარჯზე.
5. დაევალოს საქართველოს მთავარი პროკურატურის ეკონომიკურ დეპარტამენტს საბანკო დაწესებულების მეშვეობით უზრუნველყოს დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ საჯარო ინფორმაციის ასლის მოთხოვნისას „საჯარო ინფორმაციის ასლის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღება.
6. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილეს გიორგი გოგაძეს.
7. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავარი პროკურორის 2013 წლის 06 ოქტომბრის №130-მ ბრძანება „საქართველოს პროკურატურაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის

უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულგამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის დანიშვნისა და „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“.

8. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს მთავარი პროკურორი



ოთარ ფარცხალაძე